საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

სტრატეგიული სამართალწარმოება მსხვილი ჰიდროპროექტების მშენებლობის წინააღმდეგ

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში – „ყველაზე მოწყვლადი პირების და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World – Protestant Development Service

ბოლო წლებში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არაერთი დიდი ჰესის მშენებლობის პროცესი დაანონსდა. ნაწილი მათგანი უკვე აშენდა, ზოგიერთის განხორციელება ახლო მომავალში იგეგმება. მსხვილი ჰიდროპროექტები განსაკუთრებულად აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე, ცვლის მათ საცხოვრებელ პირობებს, მკვეთრ და გარდაუვალ გავლენას ახდენს გარემოზე. სამშენებლო პროექტების ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ ნებართვების გაცემის პროცესი ადგილობრივ მაცხოვრებელთა არასათანადო ჩართულობით, პროცედურული და შინაარსობრივი ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც მოსახლეობის სამართლიან პროტესტს იწვევს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) 2014 წლიდან, სტრატეგიული სამართალწარმოების გამოყენებით, იცავს ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. წარმოდგენილი დოკუმენტი მიმოიხილავს საიას წარმოებაში არსებულ 4 საქმეს და იმ ხარვეზებს, რომლებიც სამართალწარმოების პროცესში იკვეთება.

1 შუახევის ჰესის საქმე

საქმის აღწერა

ამ საქმეში საია ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ინტერესებს იცავს. მოსარჩელეები დავობენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს აქტების კანონიერებაზე. გასაჩივრებული აქტებით დადგენილია მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (9.8 მგვტ სხალთის ჰესის და 175 მგვტ შუახევის ჰესის) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. „შუახევი ჰესის“ მშენებლობა 2013 წელს დაიწყო. სადავო აქტები 2014 წელს გასაჩივრდა, თუმცა, ჰესი ისე აშენდა (2017 წელი), რომ საქმის განხილვა ამ დრომდე არ არის დასრულებული. ნებართვების გაცემის პროცესში გამოკვეთილი ხარვეზების მიუხედავად, ჰესის მშენებლობა არ შეჩერდა. შედეგად, მისი დასრულებიდან მალევე, 2017 წლის აგვისტოში, ჰესის გვირაბის ნაწილი ჩამოიშალა. საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ მიმდებარე სოფლები იმდენად დატენიანდა, მეწყრული საშიშროება კრიტიკულია და მოსახლეობა იძულებულია, საცხოვრებელი სახლები დატოვოს.

საექსპერტო დასკვნების მიხედვით, აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მაღალმთიან აჭარაში, განსაკუთრებით კი ხულოს მუნიციპალიტეტში, უარყოფითადაა შეფასებული. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ეს უბნები წარმოადგენს მეწყრულ ზონას და დაგეგმილი კაშხლების თუ გვირაბების მშენებლობა გამოიწვევს გეოლოგიური პროცესების გააქტიურებას, რაც საფრთხეს შეუქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და ბუნებრივ გარემოს, შეიცვლება მაღალმთიანი აჭარისთვის დამახასიათებელი კლიმატი, ასევე, მდინარეების - ჩირუხისწყლის, სხალთის და აჭარისწყლის თავმოყრა გვირაბების საშუალებით დაარღვევს სამივე ხეობის ჰიდროგეოლოგიურ პირობებს. არსებობს საფრთხე, რომ მთლიანად გაქრება როგორც მტკნარი, ისე ბალნეოლოგიური თვისებების მქონე უნიკალური წყაროები.

იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც მომეტებული საფრთხე არსებობს, სრულყოფილად არ ჩატარებულა არცერთი აგეგმვითი და საძიებო სამუშაო. იქ, სადაც დაფიქსირებულია მეწყრული პროცესები და რღვევები, დაცვის მექანიზმები არ არის გათვალისწინებული. ერთ-ერთი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა მიუთითებს, რომ სოფელი ღურტა წარმოადგენს მეწყრული პროცესების განვითარების ზონას. ფერდზე, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ჭარბი ატმოსფერული ნალექების მოსვლის და თოვლის დნობის პერიოდში სისტემატურად ვითარდება მეწყრული პროცესებისთვის დამახასიათებელი ფორმები.

2020 წლის 30 მარტს კომპანიამ გაავრცელა განცხადება გვირაბის გარკვეული ნაწილის ჩამოშლის შემდეგ დაწყებული სარემონტო სამუშაოების დასრულების და კომერციული წარმოების დაწყების შესახებ. თუმცა, უცნობია, რა სამუშაოები ჩატარდა ადგილზე და მოხდა თუ არა იმ რისკების გათვალისწინება, რომლებზეც ექსპერტები მიუთითებდნენ.

სასამართლოში საქმის განხილვის პროცესი

გაჭიანურებული სამართალწარმოება

2014 წელს დაწყებული სამართალწარმოების პროცესი პირველი ინსტანციის სასამართლოში 2017 წლის 26 დეკემბერს დასრულდა. საქმეს მოსამართლე ივანე აღნიაშვილი განიხილავდა.

გაჭიანურდა არა მხოლოდ საქმის განხილვის ეტაპები, არამედ, ასევე, გადაწყვეტილების გამოცხადების, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებისა და პირველი ინსტანციიდან

სააპელაციო სასამართლოში საქმის გადაგზავნის პროცედურები. საქალაქო სასამართლოს, დაახლოებით, 1 წელი დასჭირდა სააპელაციო სასამართლოში საქმის გადასაგზავნად.[1] საბოლოოდ, ისინი სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის ბოლოს გადაიგზავნა, თუმცა, 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა. ასევე, რამდენჯერმე შეიცვალნენ საქმის განმხილველი მოსამართლეები.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი

გასაჩივრებული აქტების შინაარსის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის შეტანისას მოთხოვნილი იყო უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება. სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამ უარმა შესაძლებელი გახადა მშენებლობის ისე დასრულება, რომ მისი კანონიერების საკითხი ჯერ ისევ გაურკვეველია.

მოწმეების/სპეციალისტების დაკითხვაზე უარის თქმა

საიას არ მიეცა შესაძლებლობა, დასკვნაში მითითებულ სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კითხვები ექსპერტებისთვის დაესვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა არცერთი შუამდგომლობა მოწმეების და სპეციალისტების დაკითხვის შესახებ. მათ შორის, სასამართლოს არ დაუკითხავს ის ექსპერტები, რომელთა დასკვნებიც მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი გახდა.

2 ხელედულა 3 ჰესის საქმე

საქმის აღწერა

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების ინტერესების დასაცავად, „ხელედულა 3 ჰესის“ საქმე საიამ სასამართლოში 2018 წელს წარადგინა. მოსარჩელეები დავობდნენ სკოპინგის დასკვნის კანონიერების თაობაზე.

[1] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, უნდა გადაუგზავნოს სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმე, აგრეთვე დამატებით შემოსული ყველა მასალა.

სკოპინგის[2] დასკვნის თანახმად, თავად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე საველე გასვლის შედეგად არაერთი პრობლემა გამოკვეთა. მაგალითად, დადგინდა, რომ მდ. ცხვარეშის კალაპოტში ადგილი აქვს მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების პერიოდულ გააქტიურებას; დაფიქსირდა ორი მთავარი მეწყრულ-გრავიტაციული კერა (ხეობის ორივე ფერდობზე), საიდანაც მყარი მასალა აკუმულირდება კალაპოტში და შემდეგ ტრანსფორმირდება ღვარცოფულ ნაკადად. ეს უკანასკნელი კი საფრთხის შემცველია ჰესის სათავე ნაგებობისა და გვირაბის შესასვლელი პორტალისთვის.

საქმიანობის განმახორციელებელი „ხელედულა ენერჯის“ მიერ სამინისტროსთვის წარდგენილ სკოპინგის ანგარიშში, ასევე, 2017 და 2018 წლების ცვლილებების გზშ-შიც არცერთი დამბის (კაშხლის) სიმაღლე წარმოდგენილი არ იყო. ამასთან, არ ჩატარებულა სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი მნიშვნელოვანი კვლევები. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ საქმიანობის განმახორციელებელს მოსთხოვა მეთოდოლოგიის წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც მდინარის ეკოლოგიური ხარჯი დაითვლებოდა, მშენებელმა კომპანიამ არც ეს მოთხოვნა შეასრულა.

საიამ სასამართლოს წარუდგინა „მწვანე ალტერნატივისა“ და გარემოსდაცვითი შეფასების დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნები, რომლებიც ადასტურებდა, რომ სკოპინგის დასკვნა გაიცა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების უხეში დარღვევით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სრული საფუძველი ჰქონდა, უარი ეთქვა შპს „ხელედულა ენერჯისთვის“ საქმიანობის განხორციელებაზე. სკოპინგის ანგარიშში არ იყო შესწავლილი და წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ჰიდროლოგიური კვლევის შედეგი
- არ ჩატარებულა წყლის ბიომრავალფეროვნების საველე კვლევები
- საპროექტო დერეფანში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში. მითუმეტეს, რომ მდ. ხელედულას ხეობა გამოირჩევა გეოდინამიკური პროცესების გავრცელების ფართო სპექტრით, განსაკუთრებით კი, ღვარცოფული პროცესებით

[2] სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს.

არ იყო შესწავლილი, თუ რა გავლენას მოახდენდა სადერივაციო გვირაბის გაყვანა მიწისქვეშა წყლებზე და, შესაბამისად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლების სასმელი წყლით მომარაგებაზე

სასამართლოში საქმის განხილვის პროცესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელი 2018 წლის 20 აგვისტოს წარედგინა, ხოლო 2020 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, მოსამართლე მერი გულუაშვილმა სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ არ გაიზიარა საქმეზე დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი ექსპერტების მიერ წარდგენილი მოსაზრებები, რომლებიც სამინისტროს მხრიდან სკოპინგის ანგარიშის დაწუნების საფუძველს ქმნიდა. ასევე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ნორმები განიმარტა მშენებარე კომპანიისთვის შესასრულებელი ვალდებულებების შემსუბუქების სასარგებლოდ - ადამიანის უფლებების, გარემოს ცალკეული კომპონენტების, ლანდშაფტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაბალი სტანდარტის განსაზღვრის ხარჯზე.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი

სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გასაჩივრებული ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ.

გასაჩივრებული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება

2020 წლის 17 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ძალადაკარგულად გამოაცხადა გასაჩივრებული ბრძანება, რომლითაც სკოპინგის დასკვნა დამტკიცდა. ამის მიზეზად სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის განმავლობაში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიუღებლობა დასახელდა.

3 ნამახვანი ჰესების კასკადის საქმე

საქმის აღწერა

2020 წლის 4 აპრილს საიამ, „მწვანე ალტერნატივასთან“ თანამშრომლობით, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების უფლებების დასაცავად სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა. მოსარჩელეები ითხოვენ „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი - 100 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის N2-191 ბრძანების ბათილად ცნობას.

სკოპინგის დასკვნით განისაზღვრა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადებისთვის სავალდებულო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. თუმცა, როგორც პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვის ეტაპზე გაირკვა, პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ შპს „ენკა რინიუებლზმა“ არ უზრუნველყო კანონითა და პროექტის სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული სავალდებულო კვლევების ჩატარება ადამიანთა ჯანმრთელობისა და გარემოსთვის პროექტის უსაფრთხოების შესამოწმებლად. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ მაინც გასცა დადებითი დასკვნა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე კრიტიკულად მნიშვნელოვანი და სავალდებულო დოკუმენტაციის წარდგენა კომპანიას სამომავლოდ დაავალა. შედეგად, დასკვნა ისე გაიცა, რომ სამინისტროს არ შეუფასებია პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისთვის შექმნილი საფრთხის დონე, მისი შემსუბუქებისა თუ თავიდან არიდების შესაძლებლობები. გასაჩივრებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას უხეშად დაირღვა საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვაში სათანადოდ არ ყოფილა ჩართული დაინტერესებული საზოგადოება. განხილვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გაიმართა. ქალაქი წყალტუბო ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლებიდან დაახლოებით 50 კმ-ითაა დაშორებული. ამ სოფლების მოსახლეობის დიდ ნაწილს წყალტუბოში ჩასასვლელად, მოუწესრიგებელი გზის ინფრასტრუქტურის გამო, სულ მცირე, 2-3 საათი სჭირდება. იმავდროულად, მოცემული სოფლებიდან განხილვის ადგილამდე მისვლა საჯარო ტრანსპორტით შეზღუდულია.

სასამართლოში საქმის განხილვის პროცესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელი 2020 წლის 4 აპრილს წარედგინა. სარჩელი წარმოებაშია მიღებული, თუმცა, 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, არ არის განსაზღვრული სხდომის ჩატარების თარიღი.

4 ონის ჰესების კასკადის საქმე

საქმის აღწერა

2020 წლის 12 ივნისს საიამ და „მწვანე ალტერნატივამ“, ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების სახელით, სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინეს. მოსარჩელეები მოითხოვენ „ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, სს „ონი კასკადის“ 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის“ (ონი 1 ჰესი - 122.4 მგვტ; ონი 2 ჰესი - 83.7 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N2-256 ბრძანების ბათილად ცნობას.

გასაჩივრებული ბრძანების მიღების პროცესის ანალიზი აჩვენებს, რომ სს „ონის კასკადმა“ არ ჩაატარა სავალდებულო კვლევები ადამიანთა ჯანმრთელობისა და გარემოსთვის პროექტის უსაფრთხოების შესამოწმებლად. მიუხედავად ამისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ნებართვის მფლობელს სამომავლოდ დაავალა იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზევე. შედეგად, დადებითი გადაწყვეტილება ისე იყო მიღებული, რომ არ შეფასებულა პროექტის გავლენა გარემოზე, ასევე, ადამიანის სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისთვის შექმნილი საფრთხის დონე და ამ საფრთხის შემსუბუქებისა თუ თავიდან არიდების შესაძლებლობები.

სასამართლოში საქმის განხილვის პროცესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელი 2020 წლის 12 ივნისს წარედგინა. სარჩელი წარმოებაშია მიღებული. პირველი სასამართლო სხდომა ჩანიშნულია 2020 წლის 29 დეკემბერს.

შეჯამება

მსხვილი ჰიდროპროექტების მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეების ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზები როგორც ნებართვების გაცემის პროცესში, ისე სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

როგორც წესი, მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები დაინტერესებული საზოგადოების სათანადო ჩართულობის გარეშე განიხილება:

- განხილვისას დაინტერესებულ პირებს არ ეძლევათ კითხვების დასმის შესაძლებლობა ან/და პროექტთან დაკავშირებული კრიტიკულად მნიშვნელოვანი კითხვები პასუხისმგებელი უწყების (სამინისტროს) მხრიდან უპასუხოდ რჩება.

- რიგ შემთხვევაში საჯარო განხილვა ტარდება არა დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს არსებული ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე (როგორც ამას კოდექსი მოითხოვს), არამედ ადმინისტრაციულ ცენტრში, საქმიანობის განხორციელების ადგილიდან მოშორებით. განხილვების ამგვარი დაგეგმვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას უზღუდავს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა აუფასურებს საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილ პროგრესულ მიდგომებს და მათ მხოლოდ ფორმალურ დატვირთვას სძენს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებს გასცემს ისე, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ ასახავს მნიშვნელოვან კვლევებს (მაგალითად ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ბიომრავალფეროვნების და ა.შ.) და მათი წარდგენა გადავადებულია მშენებლობის დაწყებამდე. სამინისტროს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა წარმოადგენს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას. გადაწყვეტილების მიღებისას არ ფასდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათი და მოცულობა, ასევე, არ ხდება რისკის პრევენციისა და გავლენის შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

სასამართლოში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული დავები საპროცესო ნორმების დარღვევით, ხანგრძლივი დროით განიხილება. გაჭიანურებული განხილვა არაეფექტიანს ხდის სამართალწარმოების პროცესს. ამასთან, როგორც წესი, სასამართლო არ აკმაყოფილებს მნიშვნელოვან შუამდგომლობებს, რაც იწვევს საქმის ფორმალურ განხილვას, არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის გარეშე.